*ნინო მაქაცარია*

# მცირე ბიზნესი და საზოგადოების სოციალური სტაბილურობა

***ანოტაცია:*** *სტატიაში წარმოდგენილია მცირე ბიზნესის ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში, კერძოდ, მის ეკონომიკურ როლთან ერთად წარმოჩენილია მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია. მცირე ბიზნესის განვითარება მიჩნეულია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად, რამდენადაც ის ქვეყანაში უზრუნველყოფს მის წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე პრობლემების მოგვარებას -უმუშევრობის შემცირებასა და სიღარიბის დაძლევას.*

*ნაჩვენებია საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ეტაპები ისტორიულ ჭრილში, სახელმწიფოს განსაკუთრებული დაინტერესება მცირე ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებაში. კვლევისას ანალიზისა და სინთეზის მეთოდის გამოყენებით გამოკვეთილია განსაკუთრებით მწვავე პრობლემები და ჩამოყალიბებულია მათი დაძლევის ხედვა; დასახელებულია ბოლო პერიოდში ქვეყანაში მოქმედი პროექტები მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით და ნაჩვენებია მათი რეალიზაციის შედეგები.*

*მცირე ბიზნესის განვითარება წარმოდგენილია როგორც რეგიონული განვითარების უთანაბრობის შერბილების საშუალება, საზოგადოების სოციალური სტაბილურობის გარანტი.*

***ამოსავალი სიტყვები:*** *მცირე ბიზნესი, სახელმწიფო მხარდაჭერა, ბიზნესის განვითარების სტრატეგია, ბიზნესის სოციალური ფუნქცია, საშუალო კლასის ფორმირება, სტაბილური განვითარება.*

Nino Maqatsaria

# Small business and social stability of society

***Annotation:*** *In any country in the world, the importance of small business development is great in establishing a stable economic and political environment. Small business is recognized as a guarantor of employment, revenues growth and social stability. In the development of small business, the state's particular interest lies in it's socioeconomic role. Solving problems in a small business is the same as sustained economic development. Development of small business has a special role in the regions of Georgia.*

*Today an important issues are resolved for the development of entrepreneurship. "Rules of the game" of small business are relatively acceptable and stable. An administrative barriers ar fewer. Nevertheless there are still a number of problems in a small business development today. Many institutions of market infrastructure are not fully accessible to small entrepreneurs yet. Anty-monopoly activities are not enough. We don't have different approaches in small business policy by region specifics. The main problem of small*

*entrepreneur is finances , expensive bank loans, which significantly interrupts start-up and development of new business.*

***Key words**: Small business, government support, business development strategy, social functioning of the business, the formation of the middle class, sustainable development.*

მცირე ბიზნესის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების კვლევა ძალზე აქტუალურია. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში მასში დასაქმებულია არასახელმწიფო სექტორში მომუშავეთა ძირითადი ნაწილი. საქართველოში დღეს მცირე ბიზნესის უდიდეს მნიშვნელობას განაპირობებს ის შესაძლებლობები, რაც მას აქვს ქვეყანაში არსებული უმთავრესი პრობლემის უმუშევრობისა და შესაბამისად, სიღარიბის დაძლევისათვის.

მცირე ბიზნესზე ისტორიული წყაროები თუ წერილობითი ხასიათის დოკუმენტებში, რომელიც რამდენიმე ათას წელს ითვლის, ჩანს, რომ ბიზნესის განვითარება უშუალოდ დაკავშირებული იყო მევახშეობასთან, ფულს ძირითადად სესხად იღებდნენ მეწარმეები, რომ დაემზადებინათ მოთხოვნადი პროდუქცია; თანამედროვე გაგებით, მცირე ბიზნესის განვითარება უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც ევროპიდან ჩასულმა ემიგრანტებმა აუთვისებელ ტერიტორიებზე გახსნეს მცირე ზომის საწარმოები და დაიწყეს მათთვის საჭირო საქონლისა თუ მომსახურების წარმოება.

მეწარმეობის განვითარებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. დაუკავშირდა რა ხელოსნობის განვითარებას, შემდგომში მან რეგულარული სახე მიიღო ვაჭრობის არეალის გაფართოების კვალობაზე. ქართული ნაწარმი გაჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს გამოჩენილი ქართველი მეწარმეებისა და მეცენატების უდიდესი როლი ქართული ბიზნესის ტრადიციების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში(ძმები ზუბალაშვილები, გიორგი ქართველიშვილი, დავით სარაჯიშვილი, მიტროფანე ლაღიძე, აკაკი ხოშტარია და სხვ)(1); მათმა მოღვაწეობამ ქვეყანას საკმაო მეწარმეობრივი გამოცდილება შესძინა.

მცირე ზომის მეწარმეობა ხასიათდება რიგი უპირატესობებით: მას აქვს რისკზე წასვლის მეტი შესაძლებლობა; ქმნის ახალ ნაწარმს, რამდენადაც მასშტაბების გამო მას შეუძლია დიდ ბიზნესთან შედარებით სწრაფად მოახდინოს რეაგირება ბაზარზე არსებულ სამომხმარებლო მოთხოვნაზე, აითვისოს ტექნიკური თუ ტექნოლოგიური სიახლეები; მას უღირს აწარმოოს ის

საქონელი და მომსახურება, რომელიც აუცილებელია საზოგადოებისთვის, თუმცა მისი წარმოება არამომგებიანია მსხვილი და საშუალო ბიზნესისთვის.

გარდა ეკონომიკური როლისა, მცირე ბიზნესს გააჩნია არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია, კერძოდ, მას შეუძლია ,,საზოგადოების სოციალური წონასწორობისა და სტაბილური განვითარებისათვის ხელის შეწყობა''(1,84). ქმნის რა სამუშაო ადგილებს, ზრდის დასაქმებას და მოსახლეობის შემოსავლებს, ეკონომიკურ კეთილდღეობას, ის დიდ როლს ასრულებს სიღარიბის დაძლევაში; მცირე ბიზნესის განვითარება არის სოციალური უთანაბრობის შერბილების, საშუალო კლასის ფორმირების საფუძველი;

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის სერვიზაცია, რომელიც გულისხმობს ეკონომიკაში მომსახურების სფეროს ხვედრითი წილის ზრდას, ხშირად არ მოითხოვს დიდი მასშტაბის ბიზნესს. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზიც, რომლის გამოც ბიზნესის ყველაზე გავრცელებული ფორმა მცირე ზომის ფირმაა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში ხშირად მცირე მეწარმეობის მიზანია უპირატესად სოციოკულტურული და სოციოფსიქოლოგიური ფასეულობების რეალიზაციის უზრუნველყოფაა. ადამიანების დიდ ნაწილს სურს ჰქონდეს საკუთარი ბიზნესი. ასევე გამოიკვეთება ქონების განმკარგავი ქალების რაოდენობის ზრდის ტენდენცია, რომლებიც უპირატესობების გამო ირჩევენ მცირე ზომის ბიზნესს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად იწყება საქართველოში თანამედროვე ბიზნესის ლეგალური განვითარება; გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო არ თვლიდა საჭიროდ ბიზნესის განვითარებისთვის დამატებითი სტრატეგის შემუშავებას, რამდენადაც მიიჩნევდა, რომ საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმი თვითონ მოაგვარებდა ყოველივეს. მიუხედავად ამისა სწორედ ამ ტიპის ბიზნესის დამსახურებაა ის, რომ უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, ქვეყნის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ამ უძნელეს პერიოდში მოახერხა ფიზიკურად გადარჩენა; გარდამავალ პერიოდში ბიზნესს არსებობა უწევდა პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში, საგარეო ურთიერთობებში მოიშალა ადრინდელი ეკონომიკური კავშირები, მაშინ, როდესაც ახალი მხოლოდ ფეხს იკიდებდა; ამას ემატებოდა ძველი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; შეფერხებები საწარმოების რეგისტრაციისას, ადმინისტრაციული ბარიერები, მექრთამეობა, ჰიპერინფლაცია, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა, გადასახადების რაოდენობა და სიდიდე.

შემდგომ წლებში ბევრი რამ გაკეთდა აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, შემცირდა მისი დაწყების და რეგისტრაციის თანხები, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა,

მათი პროცედურები. მნიშვნელოვანია საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება ბოლო წლებში; 2018 წლიდან ძალაში შევიდა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი მცირე ბიზნესისთვის; გამარტივდა საექსპორტო პროცედურები, რამაც მცირე ბიზნესსაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ქვეყნის გარეთ პროდუქციის გასატანად. ამის მაგალითია ქართული ღვინისა და თხილის გატანა ევროკავშირის ბაზრებზე. სახელმწიფოს გააჩნია ინსტიტუციური მექანიზმები და პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოს მცირე ბიზნესის პრობლემების მოგვარება. ამ მიზანს ემსახურება საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, დამსაქმებელთა ასოციაცია, მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, მეწარმეობის სააგენტო, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მიუხედავად მცირე მეწარმეობის განვითარებას კვლავაც ახასიათებს პრობლემები: განსაკუთრებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები და კრედიტების მიღების სირთულე; მცირე ბიზნესს მძიმე ტვირთად აწვება ენერგეტიკის ხარჯების ზრდა. არ არის მჭიდრო კავშირი მცირე და დიდი მასშტაბის ბიზნესს შორის, მაშინ, როდესაც მათი თანამშრომლობა ორივესთვის სასარგებლობის მომტანია; ეს განაპირობებს იმას, რომ არც ისე დიდია მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, 2014 წელს მან შეადგინა 18%(7); თუმცა რაოდენობრივად ჭარბობენ მცირე საწარმოები და ქვეყნისთვის მათი რიცხვის ზრდა პრიორიტეტულია თუნდაც საზოგადოების სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის.

ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია სტაბილურ ეკონომიკურ ზრდაზე, გამოყოფს მცირე ბიზნესის მხარდასაჭერის ძირითად პრიორიტეტებს. ეს მიმართულებებია ძირითადად მცირე მეწარმეობის წახალისება, მისი სწავლება და გაყიდვებში დახმარება(6). მცირე ბიზნესის წახალისებაში დიდი ადგილი უჭირავს საგადასახადო კანონმდებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ დაბეგვრასთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, ნაწილს მიაჩნია, რომ საჭიროა გადასახადების კვლავაც შემცირება მათთვის, ხოლო ზოგიერთები კი საერთოდ დაბეგვრის საკითხში დიფერენცირებულ მიდგომას სწორად არ თვლიან, რამდენადაც ეს ხელს შეუშლის ჯანსაღი კონკურენციის არსებობას. ჩვენის აზრით, მცირე ბიზნესის სოციალური როლიდან გამომდინარე, ღირს მისთვის საგადასახადო შეღავათების გაწევა, რამდენადაც გადასახადების გაზრდის ეკონომიკური ეფექტი გრძელვადიან პერსპექტივაში აშკარად აისახება საგადასახადო შემოსულობათა ბაზის შემცირებაში.

მცირე მეწარმეობის წახალისებაში დიდ როლს ასრულებს საფინანსო-საკრდიტო მხარდაჭერა, რაც მოტივაციის გაზრდისა თუ ინვესტირების მყარი საფუძველია. დღეს მცირე ბიზნესის ყველაზე დიდი პრობლემაა მაღალი საპროცენტო განაკვეთები; შესაბამისად,

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ კომერციული ბანკებისთვის შეიმუშაოს და დახვეწოს მარეგულირებელი წესები მცირე ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი კრედიტების გასაცემად.

მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა უკავშირდება მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდებას ტრენინგების თუ სხვადასხვა სასწავლო პროგრამების სახით. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის მსგავსად, საქართველოშიც არსებობს ბიზნეს-ასოციაციები, თუმცა მცირე ბიზნესი ვერ ხედავს მასში გაწევრიანების აუცილებლობას; საჭიროა მათი მეტი მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მცირე საწარმოებს შესთავაზონ საჭირო მომსახურება, რომ მასში საწევროს თანხის გადახდა არ დაეწანოთ. სახელმწიფო პროგრამები გულისხმობს ტრენინგებს ბუღალტრული აღრიცხვის, ბიზნესის დაგეგმვის, მარკეტინგის საკითხებში; ეს საჭიროა იმდენად, რამდენადაც ხშირი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში მეწარმეებისთვის არასტაბილურობის შეგრძნებას იწვევს, ისინი ხშირად ძნელად გასაგებია მეწარმეებისთვის, რაც კანონდარღვევებსა თუ დაჯარიმებს იწვევს. 2018 წელს საპილოტე რეჟიმში მუშაობა დაიწყო ფინანსური განათლების პროგრამამ მიკრო და მცირე ბიზნესისთვის (**8,**18)

მცირე ბიზნესს სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა გაყიდვებში. ამ მასშტაბის მეწარმეები მომხმარებლებისთვის საქონელსა და მომსახურებაზე ინფორმაციის მისაწოდებლად უპირატესად სოციალურ ქსელს, ფეისბუქს იყენებენ. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა შეძენის სტიმულირებისთვის პროპაგანდა გაეწიოს ეროვნულ ნაწარმს სარეკლამო სლოგანებისა თუ სხვა სახით.

ჩვენს ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებისთვის პრიორიტეტულობა დასტურდება თუნდაც იმით, რომ ქვეყანაშს გააჩნია ,,მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის''. შესაბამისად, საქართველოში არსებობს მეწარმეობის პოლიტიკა, რომლის ძირითადი მიმართულებებია: საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია; ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა'' (7,24); აღსანიშნავია ,რომ ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შედეგად საქართველოში შეიმჩნევა ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობის ზრდა 2012-2018 წლებში, კერძოდ 40,9 -დან 50,3 ათასამდე(9). წარმატებული პროექტია ,,აწარმოე საქართველოში'', რომელიც ძირითადად რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობისთვის ფინანსურ

და ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებს; მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს სოფლის მეურნეობის პროექტები, როგორიცაა ,,დანერგე მომავალი'', ,,აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა'', ,,შეღავათიანი აგროკრედიტი'', აგროდაზღვევის პროგრამა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები რეგიონული პროექტების დიდი რაოდენობით გამოირჩევა. აღსანიშნავია პროექტები ბათუმში, სიღნაღში, მესტიაში, რამაც საგრძნობლად განავითარა ეს რეგიონები, რამდენადაც გამოიწვია ასევე მცირე ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. საქართველოს ბევრ რეგიონში არის მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის მნიშვნელოვანი რესურსების პოტენციალი; მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში სახელმწიფოს მხარდაჭერით განსახორციელებელი პროექტები, მათ შორის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია, შპს ,,ანაკლია-განმუხურის'' პროგრამის განხორციელება დაუკავშირდება მცირე ბიზნესის განვითარებასაც, რამდენადაც ის გაზრდის საკურორტო სერვისების აუცილებლობას, რომლის მიწოდებაც უფრო ხელსაყრელია მცირე მასშტაბის ბიზნესისთვის;

სამწუხაროდ, ქვეყანაში დღემდე სახეზეა ეკონომიკის განვითარებაში რეგიონული უთანაბრობა. ამ პრობლემის არსებობის პირობებში რეალურ საფუძველს მოკლებულია ევროკავშირთან ასოცირება. სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის დიდი ნაწილი განთავსებულია დედაქალაქში, რასაც ხშირად უკავშირდება სამუშაო ძალის მიგრაცია; რეგიონში კი ძირითადად მცირე ბიზნესი ქმნის სამუშაო ადგილებს. აქ სამომხმარებლო მოთხოვნის დონე ვერ ავითარებს ბიზნესს. გარდა ამისა მცირე ბიზნესის არასტაბილურობას საზღვრისპირა რეგიონებში დიდწილად განაპირობებს პოლიტიკური ფაქტორი. საქართველოში მიუხედავად არსებული მხარდაჭერის სახელმწიფო სტრატეგიისა, არის მიზეზები, რომლებიც დღემდე ხელს უშლის მცირე ბიზნესის პრიორიტეტების რეალიზაციას; მცირე ბიზნესის მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარება და ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა; ინტენსიურად უნდა ხდებოდეს მეწარმეობის მხარდაჭერის არსებულ პროგრამებზე სისტემატური დაკვირვება, ანალიზი და დასკვნების გამოტანა, უფრო ახალი პროექტების საჭიროების დასადგენად. თუმცა უნდა ითქვას, რომ მცირე ბიზნესის პრობლემების კვლევა და მისი შემდგომი განვითარება კომპლექსური საკითხია და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

**ლიტერატურა:**


შურღაია ო. 2010. *მცირე ბიზნესის საფუძვლები.* გამომცემლობა ,,უნივერსალი'' თბილისი.

აგნეს ბენასი-კუერი, ბენუა კიური და სხვ. 2016. *ეკონომიკური პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა;* თბილისი.

ზოლტან ჯ. როჯერ რ. სტო 2014. *სახელმწიფო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკაში, ბიზნესის განვითარების პირობების შექმნა.* საგამომცემლო სახლი ლაბირინთი, თბილისი.

I.e. Effective Small Business Management: An Entrepreneurial Approach 10th.edition Hardcover, 2012. by Scarborough

ლომინაძე ს. *საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიები ბიზნესში/* (1 ივლისი, 2019).

ტოლიაშვილი პ. *მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგია.* /http://strategy.ge/2009/06/22/sme-development/, (22 ივნისი, 2019).

*მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგია. 2016-2020 წლისათვის* http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf (1 ივნისი, 2019).

საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_2018.pdf (1 ივნისი, 2019).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri (1 ივნისი, 2019).